

ფინანსური ანგარიშგება  
შპს ტრანსიბერიატრანზიტი  
2020 წლის 31 დეკემბერი

## სარჩევი

|                                                                                              |    |
|----------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                                                        | 3  |
| 2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება<br>კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება | 4  |
| 3. ზოგადი ინფორმაცია                                                                         | 6  |
| 4. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა                        | 7  |
| 5. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები                                      | 12 |

# 1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                                   | შენიშვნა | 31.12.2020       | 31.12.2019       | 31.12.2018     |
|---------------------------------------------------|----------|------------------|------------------|----------------|
| აქტივები                                          |          |                  |                  |                |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები | 1        | 27,239           | 111,458          | 125,660        |
| სავაჭრო მოთხოვნები                                | 2        | 486,481          | 1,128,499        | 363,449        |
| მარაგები                                          |          | 124              |                  |                |
| საინვესტიციო ქონება                               |          | 2,000            | 2,000            |                |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                        |          | 46,005           |                  |                |
| გადახდილი ავანსები                                | 3        | 546,593          | 429,902          | 79,129         |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                     | -        | <b>1,109,652</b> | <b>1,567,874</b> | <b>568,238</b> |
| ძირითადი საშუალებები                              | 4        | 2,573,595        | 319,914          | 333,104        |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                  | -        | <b>2,573,595</b> | <b>319,914</b>   | <b>333,104</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                               | -        | <b>3,882,037</b> | <b>1,991,773</b> | <b>901,342</b> |

|                                       |   |                  |                  |                |
|---------------------------------------|---|------------------|------------------|----------------|
| ვალდებულებები                         |   |                  |                  |                |
| სავაჭრო ვალდებულებები                 |   | 186,059          | 404,092          | 168,575        |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ    |   | 77               | 393              | 365            |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები       | 5 | 3,187,733        | 1,033,415        | 320,676        |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები       | - | -                | 197,956          | 42,326         |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> | - | <b>3,187,733</b> | <b>1,802,289</b> | <b>531,942</b> |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები    |   | -                | -                | 43,002         |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> | - | <b>-</b>         | <b>-</b>         | <b>43,002</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              | - | <b>3,373,869</b> | <b>1,635,856</b> | <b>574,944</b> |

|                                               |   |                  |                  |                |
|-----------------------------------------------|---|------------------|------------------|----------------|
| საკუთარი კაპიტალი                             |   |                  |                  |                |
| კაპიტალი                                      |   | 2,000            | 2,000            | 2,000          |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                 |   | 292,379          | 140,128          | 110,610        |
| გადაფასების რეზერვი                           |   | 213,789          | 213,789          | 213,789        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  | - | <b>508,168</b>   | <b>355,917</b>   | <b>326,399</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> | - | <b>3,882,037</b> | <b>1,991,773</b> | <b>901,342</b> |

2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

|                                                                | შენიშვნა | 2020      | 2019      |
|----------------------------------------------------------------|----------|-----------|-----------|
| ამონაგები                                                      |          | 9,341,951 | 9,204,918 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება<br>ტრანსპორტირების ხარჯი |          | 8148783   | 8281353   |
| საერთო მოგება                                                  |          | 1193168   | 923565    |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                       | 6        | 891,199   | 655,993   |
| საკონსულტაციო მომსახურება აუდიტორულ-<br>იურიდიული              |          | 25,424    | 6,656     |
| მივლინების ხარჯი                                               |          | -         | 10,431    |
| დაცვის მომსახურების ხარჯი                                      |          | 1,440     | 1,440     |
| სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება                                |          | -         | 85,006    |
| კომუნალური გადასახადები ხარჯი                                  |          | 5,877     | 5,764     |
| კომუნიკაციის ხარჯი                                             |          | 7,931     | 9,213     |
| საოფისე ხარჯი                                                  |          | 1,386     | 5,816     |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                           |          | 19,444    | 16,974    |
| საგადასახადო ხარჯი                                             |          | 16,016    |           |
| საპროცენტო ხარჯი                                               |          | 75,218    | 17,905    |
| ბანკის საკომისიო                                               |          | 12,062    | 20,381    |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი                                     |          | 29,242    | 34,520    |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                         |          | 1,085,239 | 870,098   |
| საოპერაციო მოგება                                              |          | 179,557   | (216,951) |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო<br>ოპერაციებიდან:     |          | 31,571    | 23,949    |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/<br>(ხარჯი)               |          | 75,893    |           |
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის<br>ხარჯამდე                |          |           |           |
| მოგება/(ზარალი)                                                |          | 152251    | 29518     |

|                                                                             |  |  |        |         |
|-----------------------------------------------------------------------------|--|--|--------|---------|
| კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი) |  |  | 140128 | 110,610 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)                             |  |  | -      |         |
| განაწილება მესაკუთრეებზე                                                    |  |  | -      |         |
| დივიდენდის განაწილება                                                       |  |  | -      |         |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                       |  |  | -      |         |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                   |  |  | -      |         |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (გაუნაწილებელი მოგება/ზარალი)         |  |  | 292379 | 140128  |



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

#### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ტრანსიბერიატრანზიტი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2000 წლის 22 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო ნომრით - 202171434. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, სოხუმისა და ევდოშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, კომერციული ფართი 4ა, მთავარი ოფისის მდებარეობს აღნიშნულ მისამართზე. კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები: სარკინიგზო, საზღვაო, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების ექსპედირება, სატრანსპორტო დოკუმენტების გაფორმება და საერთაშორისო გადაზიდვები.

მიმდინარეობს საქმიანობის სფეროს გაფართოების პროცესი, კონკრეტულად დაგეგმილია ქ.ფოთში საკუთარი საბაჟო-საკონტეინერო ტერმინალის მოწყობა და გახსნა.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები დაარსების დღიდან არის რამაზ ალფაიძე (პ.ნ 01019015286). საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები 2010 წლის 15 ნოემბრამდე იყვნენ: რამაზ ალფაიძე (პ.ნ 01019015286) - 67% წილის მფლობელი და ნანა გოქსაძე (01005004578) - 33% წილის მფლობელი. 2010 წლის 15 ნოემბრიდან 2013 წლის 16 იანვრამდე საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორი იყო რამაზ ალფაიძე (პ.ნ 01019015286) - 100%. ხოლო 2013 წლის 16 იანვრიდან საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან: რამაზ ალფაიძე (პ.ნ 01019015286) - 50% წილის მფლობელი და გიორგი კურკუმული (01024016942) - 50% წილის მფლობელი.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

### უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს, 1 ევროსათვის შეადგენს 4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარისთვის შეადგენს 2,8677 ლარს, 1 ევროსათვის შეადგენს 3,2095 ლარს, 2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი - 2,6766 ლარი, 1 ევრო - 3,0701 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშგება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციები განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

მიდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დადგენილია საანგარიშებო პერიოდის ბოლოს არსებული სავაჭრო მოთხოვნების 10 %-ის ოდენობით. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მისი შესყიდვის ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.



მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლების, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა- ნაგებობების ცვეთა - 20-25 წელი;

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 5-10 წელი;

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 5-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 8 წელი.

#### არამატერიალური აქტივები

კომანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების გზით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სავარაუდო მომსახურების ვადა შეადგენს 5-10 წელს პროგრამული უზრუნველყოფისთვის, უფლებებისთვის და სხვა.

## სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

## სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც გაწეულ იქნა.

## მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშვება, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

## ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

### 3. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

|                                                       | 2020          | 2019           | 2018           |
|-------------------------------------------------------|---------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში                  | -             | -              | -              |
| ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში             | 8,218         | 105,420        | 7,331          |
| ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი) | 19,021        | 6,038          | 118,328        |
| <b>სულ</b>                                            | <b>27,239</b> | <b>111,458</b> | <b>125,660</b> |

#### შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                             | 2020           | 2019             | 2018           |
|-----------------------------|----------------|------------------|----------------|
| სავაჭრო მოთხოვნები          | 540,534        | 1,253,888        | 403,832        |
| სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი | 54,053         | 125,389          | 40,383         |
| <b>სულ</b>                  | <b>486,481</b> | <b>1,128,499</b> | <b>363,449</b> |

კომპანიამ შეამცირა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 71335 ლარის ოდენობით (აღიარებული სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი წლების შესაბამისად - 2019წელს 85006, 2018წელს 9671 ლარი, 2017 წელს 30712 ლარი).

#### შენიშვნა 3

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები წარმოადგენს მომსახურე კომპანიებისთვის წინასწარ ანაზღაურებულ მომსახურების საფასურს. კომპანიის საქმიანობის საერთაშორისო სატრანსპორტო-სარკინიგზო გადაზიდვების სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნული თანხები არსებითია კომპანიის მიმდინარე საქმიანობისას.



შენიშვნა 4

ძირითადი საშუალებები

|                                                                  | მიწა             | შენობები       | ავიჯი<br>და<br>ოფისის<br>აღჭურვ<br>ილობა | სატრანსპ<br>ორტო<br>საშუალო<br>ბეები | დაუმთავ<br>რებელი<br>მშენებლო<br>ბა | სულ              |
|------------------------------------------------------------------|------------------|----------------|------------------------------------------|--------------------------------------|-------------------------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი 2018 მდგომარეობით</b><br>საბალანსო ღირ.          | <b>9,690</b>     | <b>301,003</b> | <b>64,854</b>                            | <b>18,435</b>                        |                                     | <b>393,982</b>   |
| შემოსვლა                                                         | -                | -              | 3,784                                    |                                      |                                     | <b>3,784</b>     |
| გასვლა                                                           | -                | -              | -                                        | -                                    |                                     | -                |
| აფასება                                                          |                  | -              |                                          |                                      |                                     |                  |
| <b>31 დეკემბერი 2019 მდგომარეობით</b><br>საბალანსო ღირ.          | <b>9,690</b>     | <b>301,003</b> | <b>68,638</b>                            | <b>18,435</b>                        |                                     | <b>397,766</b>   |
| შემოსვლა                                                         | 1,547,444        | -              | 2,962                                    | 13,835                               | 708,884                             | <b>2,273,124</b> |
| გასვლა                                                           | -                | -              | -                                        | -                                    |                                     | -                |
| აფასება                                                          |                  | -              |                                          |                                      |                                     |                  |
| <b>31 დეკემბერი 2020 მდგომარეობით</b><br>საბალანსო ღირ.          | <b>1,557,134</b> | <b>301,003</b> | <b>71,600</b>                            | <b>32,270</b>                        | <b>708,884</b>                      | <b>2,670,890</b> |
| <b>ცვეთა და გაუფასურება</b>                                      |                  |                |                                          |                                      |                                     |                  |
| <b>31 დეკემბერი 2018 მდგომარეობით</b><br>ჯამური დაგრ. ცვეთა ღირ. |                  | 11,401         | 49,093                                   | 384                                  |                                     | <b>60,878</b>    |
| პერიოდის ცვეთა 2019წ.                                            |                  | 12,467         | 2,203                                    | 2,304                                |                                     | <b>16,974</b>    |
| გასვლა                                                           |                  |                |                                          |                                      |                                     | -                |
| <b>31 დეკემბერი 2019 მდგომარეობით</b><br>ჯამური დაგრ. ცვეთა ღირ. | -                | <b>23,868</b>  | <b>51,296</b>                            | <b>2,688</b>                         |                                     | <b>77,852</b>    |
| პერიოდის ცვეთა 2020წ.                                            |                  | 14,267         | 1,287                                    | 3,890                                |                                     | <b>19,444</b>    |
| გასვლა                                                           |                  |                |                                          |                                      |                                     | -                |
| <b>31 დეკემბერი 2020 მდგომარეობით</b><br>ჯამური დაგრ. ცვეთა ღირ. | -                | <b>38,135</b>  | <b>52,583</b>                            | <b>6,578</b>                         |                                     | <b>97,296</b>    |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>                               |                  |                |                                          |                                      |                                     |                  |
|                                                                  |                  |                |                                          |                                      |                                     | -                |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>                                         | <b>9,690</b>     | <b>289,602</b> | <b>15,761</b>                            | <b>18,051</b>                        |                                     | <b>333,104</b>   |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>                                         | <b>9,690</b>     | <b>277,135</b> | <b>17,342</b>                            | <b>15,747</b>                        |                                     | <b>319,914</b>   |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>                                         | <b>1,557,134</b> | <b>262,869</b> | <b>19,017</b>                            | <b>25,692</b>                        | <b>708,884</b>                      | <b>2,573,595</b> |

## შენიშვნა 5

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო ვალდებულებებს წარმოადგენს ბანკების საკრედიტო ხაზი და გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი. საკრედიტო ხაზის გამოყენება დაფარვა ხდება მოკლევადიან პერიოდში საშუალოდ ერთი-ექვსი თვის ვადაში.

## შენიშვნა 6

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

|                    | 2020    | 2019    | 2018    |
|--------------------|---------|---------|---------|
| შრომის ანაზღაურება | 598,455 | 152,266 | 343,920 |

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.

